



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დადიანი გიორგი (ეგორ) ლევანის (ლევონტის) ძე

დადიანი გიორგი (ეგორ) ლევანის (ლევონტის) ძე (1683, ზუგდიდი, - 12. VI. 1765, მოსკოვი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1725). სამეგრელოს მთავრის ლევან IV დადიანის ვაჟი. სანქტ-პეტერბურგში ჩასული ერთ-ერთი პირველი ქართველი, რიც კარგად დაეუფლა რუს. ენას, ასრულებდა დიპლ. დავალებებს, მთარგმნელისა და თარჯიმნის მოვალეობას. რუს. სამეფო კარსა და მოსკოვში ემიგრირებულ ქართველთა შორის მოლაპარაკებების დროს უძღვებოდა მიმონერას საქართველოსთან. ცოლად შეირთო რუს. არტილერიის გენ.-ფელდცოიხმაისტერის, ბატონიშვილ ალექსანდრე არჩილის ძის ქალიშვილი სოფიო. დ. „დადიანოვების“ მოსკოვის შტოს დამფუძნებელია. თავისი სახსრებით მონაწილეობა მიიღო მოსკოვში სუხარევის კოშკის განახლებაში. დაკრძალულია მოსკოვში, დონის მონასტრის მირქმის ტაძარში.

გ. კალანდია

ნ. ჯავახიშვილი
